ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ74. 74233473**

თარიღი:**13/12/2023**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დაგენილებისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის Nგ-75.7523334001 განკარგულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დანართი N1-ს შესაბამისად.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 7523334001**
თარიღი:**30/11/2023**

,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ'' 2023 წლის 17 მარტის Nგ-75.75230762 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ'' 2023 წლის 17 მარტის N გ-75.75230762 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში და მე-5, მე-6 და მე-7 ნომრად დასახელებული მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასური და აუქციონების პირობები განისაზღვროს დანართი N1-ს შესაბამისად.

მუხლი 2.

ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 ოქტომბრის N გ-75. 75233032 განკარგულების მე-2 მუხლი.

მუხლი 3.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (ი. ლომთაძე).

მუხლი 4.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 5.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2023 წლის 30 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონების გეგმა

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	საწყისი საპრივატიზებო ფასი	აუქციონის პირობა
5	კუნძული ტყიბულის წყალსაცავზე	ტყიბული, სოფ მანჭიორი	39.03.32.268	315018	1 700 000	1. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში: ✓ ტერიტორიის მოწესრიგება; ✓ ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა; ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ✓ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. 2. შემსყიდველმა პირველ პუნქტში წარმოდგენილი სამუშაოებისთვის - "ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა", უნდა დაასრულოს 5 წლის განმავლობაში და განახორციელოს არანაკლებ 6.000.000 (ექვსიმილიონი) ლარის ინვესტიცია შემდეგი პერიოდულობით: • ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში - 2.000.000 (ორიმილიონი) ლარი; • ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში ჯამურად - 6.000.000 (ექვსიმილიონი) ლარი; 3. აუქციონზე შეძენილი ქონების საფასურის გადახდა შემძენმა უნდა განახორციელოს შემდეგი პერიოდულობით: • 1.000.000 (ერთიმილიონი) ლარი უნდა გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში; • აუქციონის დასრულებისას დაფიქსირებული საბოლოო თანხიდან დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2024 წლის 25 ნოემბრამდე შემდეგი პერიოდულობით: • დარჩენილი თანხის 50% - ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში; • დარჩენილი თანხა - 2024 წლის 25 ნოემბრამდე; აუქციონის პირობებიდან ნებისმიერი ერთ-ერთი მათგანის შეუსრულებლობის, ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, სადაც განსაზღვრული იქნება დარღვევის გამოსწორების ვადა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა. გაფრთხილების გაუთვალისწინებლობა და პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუქციონის შედეგების გაუქმებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების შემძენს გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯი არ აუნაზღაურდება.
6	კუნძული ტყიბულის წყალსაცავზე	ტყიბული, სოფ მანჭიორი	39.03.32.271	21421	120 000	1. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში: ✓ ტერიტორიის მოწესრიგება; ✓ ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა; ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ✓ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. 2. შემსყიდველმა პირველ პუნქტში წარმოდგენილი სამუშაოებისთვის - "ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა", უნდა დაასრულოს 4 წლის განმავლობაში და განახორციელოს არანაკლებ 1.000.000 (ერთიმილიონი) ლარის ინვესტიცია შემდეგი პერიოდულობით:

						• ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში - 500.000 (ხუთასიათასი) ლარი; • ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში ჯამურად - 1.000.000 (ერთიმილიონი) ლარი; • აუქციონზე შეძენილი ქონების საფასურის გადახდა შემძენმა უნდა განახორციელოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში; აუქციონის პირობებიდან ნებისმიერი ერთ-ერთი მათგანის შეუსრულებლობის, ან ვადის გადაცილების შემთხევაში, ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, სადაც განსაზღვრული იქნება დარღვევის გამოსწორების ვადა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა. გაფრთხილების გაუთვალისწინებლობა და პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუქციონის შედეგების გაუქმებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების შემძენს გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯი არ აუნაზღაურდება.
7	კუნძული ტყიბულის წყალსაცავზე	ტყიბული, სოფ მანჭიორი	39.03.32.264	31828	180 000	1. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში: ✓ ტერიტორიის მოწესრიგება; ✓ ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა; ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ✓ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. 2. შემსყიდველმა პირველ პუნქტში წარმოდგენილი სამუშაოებისთვის - “ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა“, უნდა დაასრულოს 4 წლის განმავლობაში და განახორციელოს არანაკლებ 1.000.000 (ერთიმილიონი) ლარის ინვესტიცია შემდეგი პერიოდულობით: • ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში - 500.000 (ხუთასიათასი) ლარი; • ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში ჯამურად - 1.000.000 (ერთიმილიონი) ლარი; • აუქციონზე შეძენილი ქონების საფასურის გადახდა შემძენმა უნდა განახორციელოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში; აუქციონის პირობებიდან ნებისმიერი ერთ-ერთი მათგანის შეუსრულებლობის, ან ვადის გადაცილების შემთხევაში, ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, სადაც განსაზღვრული იქნება დარღვევის გამოსწორების ვადა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა. გაფრთხილების გაუთვალისწინებლობა და პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუქციონის შედეგების გაუქმებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების შემძენს გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯი არ აუნაზღაურდება.